ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7893230

ნომერი: AR11139140

თარიღი : 21.04.2026

გაცემის თარიღი : 23.04.2026

გაცნობის თარიღი : 24.04.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხა ხელაშვილის ქუჩა, N 11;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია სესიაშვილი პ/ნ 01013016006
- თბილისი გურამ რჩეულიშვილის ქ. 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7873334 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 21 აპრილს №AR11139140 განცხადებით მომართა მაია სესიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 8

აპრილის №7873334 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება დემონტაჟის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7873334 ბრძანებით შეთანხმდა №01.72.14.014.722 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე №01/2 შენობის დემონტაჟის პროექტი და გაიცა დემონტაჟის ნებართვა. დემონტაჟის ვადა განისაზღვრა 2026 წლის 8 აპრილიდან 2026 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7873334 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ „2026 წლის 8 აპრილიდან 2026 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა „2026 წლის 8 აპრილიდან 2026 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით.“. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2026 წლის 24 მარტის №AR11135055 განცხადებით, მოთხოვნილ იქნა დემონტაჟის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და დემონტაჟის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 6 თვეზე. სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7873334 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად დემონტაჟის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7873334 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7873334 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“3. დემონტაჟის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 8 აპრილიდან 2026 წლის 8 ოქტომბრის ჩათვლით.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 8 აპრილის №7873334 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2026 წლის 8 აპრილის №7873334 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.